ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

თბილისი 0160, შარტავას ქ. 7 ტელ.: 378501, 378396

№ 8-12/13247169-16 07. 10. 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, გორგასალის ქუჩა №40-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური კომპლექსის I და II ბლოკები) ექსპლუატაციაში მიღების შესახებ

დამკვეთი -
პროექტის შეთანხმების და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №23294 3 26.06.2012წ.
განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით პირობებთან შესაბამისობის დასკვნა: №931661 04.10.2013წ. (AR1165756)

მიწის ნაკვეთის ფართობი: – 10693.0 მ²
განაშენიანების ფართობი: – 1104.0 მ²
საერთო ფართობი: – 14689.71 მ²
საცხოვრებელი ფართობი: – 7740.8 მ²
კომერციული ფართობი: – 204.32 მ²
საზაფხულო ფართობი: – 1085.91 მ²
სარდაფის ფართობი: – 404.32 მ²
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: – 407.9 მ²
დამხმარე ფართობი: – 2310.32 მ²
ავტოსადგომის ფართობი: – 2536.14 მ²
სამშენებლო მოცულობა – 47667.0 მ³
±0.00 ნიშნულს ზევით: – 32791.0 მ³
±0.00 ნიშნულს ქვევით: - 14876.0 მ³

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, საქ. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, „პროდუქტის უსაფრთხოების და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 103¹-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 88-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1) მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში ქ. თბილისში, სექტორი – კრწანისი, გორგასალის ქუჩა №40-ში (საკ. კოდი №01.18.09.005.023) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალფუნქციური კომპლექსის I და II ბლოკები).
2) ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №12/13247169-16 04.09.2013წ. განცხადება.

უფროსის მოადგილე ვ. მუჯირიშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

ბრძანება:ბ17. 01252393

თარიღი:27/08/2025

განცხადების ნომერი: 01251842547-17
განცხადების თარიღი: 03/07/2025

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი

მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი
- საკადასტრო კოდი :01.11.12.005.181
- მისამართი :ქალაქი თბილისი, მემედ აბაშიძის ქუჩა, N 5ა

განმცხადებელი-დამკვეთი
პირადი ნომერი
მისამართი

ნომენკლატურა :განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება / საცხოვრებელი ობიექტები / მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი / ქმედება: მშენებლობის ნებართვისა და შეთანხმებული პროექტის ცვლილებით განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება / კლასი: IV

სტადიები:
- ექსპლუატაცია

მოთხოვნის შინაარსი
- მოთხოვნის ტექსტი :გთხოვთ განახორციელოთ მშენებლობის ნებართვისა და შეთანხმებული პროექტის ცვლილებით განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება

დამკვეთის ან უფლებამოსილი პირის ინფორმაცია
- დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი :Შ
- დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი
- ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში) :შპს ზ1
- საიდენტიფიკაციო კოდი :402032420

განხორციელებული მშენებლობის შედეგად მიღებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). /ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები დაანგარიშდეს იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის საფუძველზეც შეთანხმდა საპროექტო დოკუმენტაცია/
- მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ) :1865.0
- განაშენიანების ფართობი (კვ.მ) :682.7
- საერთო ფართობი (კვ.მ) :6377.1
- საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ) :4453.1
- საზაფხულო ფართობი (კვ.მ) :710.5
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ) :723.4
- ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ) :490.1
- სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ) :21366.2
- 0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ) :21366.2
- 0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ) :0.0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად წარმოდგენილი N01251842547-17 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 141^3 მუხლის, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 23 ივლისის N85-73 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სანებართვო პირობების დარღვევით წარმოებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების, აგრეთვე ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის გამოცემისა და გაცნობის წესის და პირობების

დამტკიცების შესახებ", ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 აპრილის N54-30 დადგენილების „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ"

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1. ველში „არსებული მდგომარეობის ამსახველი ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500" (ტოპოგრაფიული გეგმის (მასშტაბი 1:500) pdf ფაილი) წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი ტოპოგრაფიული გეგმა.(წარმოსადგენია მხოლოდ "ბ" ბლოკის ტოპოგრაფიული გეგმა.)

2. ველში „განახლებული ამონაწერ(ებ)ი საჯარო რეესტრიდან" (ამონაწერ(ებ)ის pdf ფაილი) წარმოადგინეთ განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

3. ველში „მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობ(ებ)ის საკადასტრო აზომვითი ნახაზი"(საკადასტრო აზომვითი ნახაზის pdf ფაილი) წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი სკადასტრო აზომვითი ნახაზი შენობა-ნაგებობის დატანით.("ბ" ბლოკის საკადასტრო აზომვითი ნახაზი.)

4. ველში „შესაბამისი სამსახურის მიერ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის pdf ფაილი" (შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის ნახაზების, ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლების და შესაბამისი ბრძანების pdf ფაილი) წარმოადგინეთ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი სრულად, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებით და შესაბამისი ბრძანება.

5. ველში „შენობა-ნაგებობის შიდა გეგმარების და ფასადების ცვლილების, მათ შორის კეთილმოწყობის სამუშაოების და ავტოსადგომის სავალდებულო რაოდენობის ცვლილების, შემცირების ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამის პირთა თანხმობა"(მესაკუთრეთა თანხმობის pdf ფაილი) წარმოადგინეთ მხოლოდ „ბ" ბლოკის მესაკუთრეთა ½-ზე მეტი ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

6. ველში „არსებული სიტუაციის ფოტოსურათები" (ფოტოსურათების pdf ფაილი) წარმოადგინეთ ყველა ფასადის, ეზოს ტერიტორიის, სადარბაზო(ებ)ის, ლიფტ(ებ)ის, სახურავის და შიდა კიბ(ებ)ის არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები შესაბამისი თარიღის დატანით. (მხოლოდ "ბ" ბლოკის ფასადების სრულად აღქმადი ფოტოსურათები, ასევე ტეროტორიის სადარბაზოსი, კიბის უჯრედის, ლიფტის და სახურავის ფოტოსურათები. "ა" ბლოკი 2020 წლის მდგომარეობით არ იყო დასრულებული.)

7. ველში „განხორციელებული მშენებლობის სამშენებლო დარღვევების განმარტებითი ბარათი"(სამშენებლო დარღვევების განმარტებითი ბარათი) წარმოადგინეთ განხორციელებული მშენებლობის შედეგად გამოვლენილი დარღვევების ახსნა-განმარტებით ბარათი.

8. ველში „შენობა-ნაგებობის ფასადების ანაზომი, მასშტაბი 1:100"(არსებული მდგომარეობის ამსახველი ფასადების pdf ფაილი) წარმოადგინეთ არსებულის სიტუაციის სრულად ამსახველი ფასადების ანაზომი.("ბ" ბლოკის არსებული სიტუაციის ამსახველი ფასადები.)

9. ველში „შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი" (არსებული მდგომარეობის ამსახველი შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით) წარმოადგინეთ შესწორებული ვექტორული ფაილი.

10. ველში „აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის და სეისმომედეგობის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა (საექსპერტო დასკვნის pdf ფაილი)" წარმოადგინეთ აკრედიტირებული ინსპექტირების ორგანოს მიერ გაცემული მზიდი კონსტრუქციების მდგრადობის და სეისმომედეგობის დამადასტურებელი საექსპერტო დასკვნა. (მხოლოდ "ბ" ბლოკის დასკვნა.)

11. ველში „შენობა ნაგებობაში მოწყობილი ტექნოლოგიური მოწყობილობების (ლიფტების, ესკალატორების და სხვა) გამოცდის აქტები"(გამოცდის აქტის pdf ფაილი) წარმოადგინეთ უფლებამოსილი ორგანიზაციის მიერ გაცემული ლიფტის გამოცდის აქტი.

გაითვალისწინეთ, ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი, მუნიციპალური ინსპექცია, ამ ეტაპზე, ვერ გიდგენთ სრულყოფილ ხარვეზს. აქვე გაცნობებთ, რომ საკადასტრო საზღვრების დარღვევის შემთხვევაში საჭიროა უზრუნველყოთ წითელი ხაზების გამოსწორება, წინააღმდეგ შემთხვევაში მუნიციპალური ინსპექცია მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს საკადასტრო საზღვრებს გაცდენილი შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება.

12. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 45 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გოგი ჩიქოვანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი)



გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი